

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №59
2025 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ¹“ ქვეპუნქტი:

„უ¹) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი ნორმატიული აქტის მიზნებისთვის, გამოსცემს ნორმატიულ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

